განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ ახალგაზრდობის
სააგენტო

ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი

2026

ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი

ახალგაზრდულიბანაკებიხორციელდებასაქართველოსგანათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ.

ბანაკი განხორციელდება 18 ივლისიდან 13 სექტემბრის ჩათვლით. 11 ნაკადის განმავლობაში

საბანაკე პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს 3000-ზე მეტი ახალგაზრდა.

<u>რა არის ბანაკის განხორციელების მიზანი?</u>

ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია და ინკლუზია; ახალგაზრდების აქტიური დასვენების ხელმისაწვდომობა; არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა; ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა;

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დამკვიდრების ხელშეწყობა; ეროვნული და პატრიოტული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა;

<u>ვის შეუძლია ბანაკში მონაწილეობის მიღება?</u>

ბანაკისმონაწილეთაშერჩევახორციელდებაგამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ასაკი: 14-18 წლის;
- არ მიუღია მონაწილეობა 2025-2026 წლებში ახალგაზრობის სააგენტოს მიერ განხორციელებულ ბანაკებში;
- უნდა ჰქონდეს ბანაკში მონაწილეობის მოტივაცია.

მონაწილის შერჩევაზე პასუხისმგებელ მუნიციპალიტეტს აქვს უფლება შერჩევისას გამოიყენოს დამატებითი კრიტერიუმები.

- ერთ საბანაკე ნაკადზე მონაწილეობა შეუძლია 240 ახალგაზრდას.

<u>სად მდებარეობს ახალგაზრდული ბანაკი?</u>

ახალგაზრდული ბანაკი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანაკლიაში.

<u>(იხ. ლინკი: ბანაკის ლოკაცია რუკაზე).</u>

საბანაკე ბაზაზე არ არის მაღაზიები, კვების ობიექტები ან მსგავსი ტიპის დაწესებულებები.

<u>როგორია საბანაკე პროგრამა?</u>

ბანაკისპროგრამა5დღისგანშედგება და ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ საკვანძო კომპეტენციების განვითარებისთვის მიმართულ საგანმანათლებლო, რეკრეაციულ, სპორტულ და კულტურულ აქტივობებში. საბანაკე პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები განხორციელდება არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიითა და ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპების გათვალისწინებით.

ბანაკის დღის წესრიგი:

დრო	პირველი დღე	მეორე დღე	მესამე დღე (თავდაცვის დღე)	მეოთხე დღე	მეხუთე დღე
08:30		გაღვიძება	გაღვიძება	გაღვიძება	გაღვიძება
08:30-09:00		პირადი ჰიგიენა	პირადი ჰიგიენა	პირადი ჰიგიენა	პირადი ჰიგიენა
09:00-09:30		დილის ხაზი	დილის ხაზი	დილის ხაზი	გუნდების მომზადება საუზმისთვის
09:30-09:35		გუნდების მომზადება საუზმისთვის	გუნდების მომზადება საუზმისთვის	გუნდების მომზადება საუზმისთვის	საუზმე
09:35-10:35		საუზმე	საუზმე	საუზმე	
10:35-12:00		ზღვა/აუზი	ზღვა/აუზი	ზღვა/აუზი	
12:00-12:30		გუნდების მომზადება ტრენინგისთვის	გუნდების მომზადება ტრენინგისთვის	გუნდების მომზადება ტრენინგისთვის	გამგზავრება
12:30:-14:00		ტრენინგი -	ტრენინგი -	ტრენინგი	
14:00-14:30	ჩამოსვლა და რეგისტრაცია/ სადილი	გუნდური თამაშები ყინულის ლღვობის აქტივობები	შეიარაღებული ძალების გამოფენა	გუნდური თამაშები	
14:30-15:30		სადილი	სადილი	სადილი	
15:30-16:30		წყნარი საათი / მოწვეული სტუმარი	წყნარი საათი / მოწვეული სტუმარი	წყნარი საათი / მოწვეული სტუმარი	
16:30-18:00	გაცნობის თამაშები	ზღვა/აუზი	ბარიერების გადალახვა	ზღვა/აუზი	
18:15-20:15	ბანაკის რეგლამენტის გაცნობა, ევაკუაციის გეგმა, გუნდის დრო	სპორტული აქტივობა (კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი)	სპორტული აქტივობა (კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი)	სპორტული აქტივობა (კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი)	
20:15-20:30	მომზადება ვახშმისთვის	მომზადება ვახშმისთვის	მომზადება ვახშმისთვის	მომზადება ვახშმისთვის	
20:30-21:30	ვახშამი	ვახშამი	ვახშამი	ვახშამი	
21:30-22:00	გუნდების მობილიზება საღამოს ღონისძიებისთვის	გუნდების მობილიზება საღამოს ღონისძიებისთვის	გუნდების მობილიზება აქტივობებისთვის	გუნდების მობილიზება აქტივობებისთვის	
22:00-23:45	ბანაკის გახსნა	საერთო საბანაკე თამაში „გემობანა“/ „ხილი”/ ლაბირინთი	ინტელექტუალური თამაში - რა? სად? როდის?* ალტერნატიული	დასკვნითი ღონისძიება ბენდი/საზეიმო დახურვა/	
23:45-00:00	გუნდების მობილიზება რეფლექსიისთვის	გუნდების მობილიზება რეფლექსიისთვის	გუნდების მობილიზება რეფლექსიისთვის	გუნდების მობილიზება რეფლექსიისთვის	
00:00-01:00	დღის შეჯამება / რეფლექსია	დღის შეჯამება / რეფლექსია	დღის შეჯამება / რეფლექსია	დღის შეჯამება / რეფლექსია	
01:00	ძილი	ძილი	ძილი	ძილი	

რა უნდა გავითვალისწინო ბანაკში ყოფნის პერიოდში?

ბანაკში დაუშვებელია:

- ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალების შეტანა-მოხმარება;
- ბანაკის ტერიტორიაზე ალკოჰოლური და/ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების, თრობის
- მდგომარეობაში ყოფნა;
- ცივი იარაღის ან/და ნებისმიერი ბასრი საგნის შეტანა;
- მედიკამენტების შეტანა, გარდა ექიმის დანიშნულებით გათვალისწინებული საშუალებებისა, სპეციალური
- ფორმის (დანიშნულების ფურცლის) თანხლებით;
- თამბაქოს მოხმარება დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე;
- ბანაკის კვების რაციონით გათვალისწინებული მენიუს გარდა სხვა საკვების შეტანა და მიღება.
- ბანაკის ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის განზრახ დაზიანება/განადგურება;

რა დამჭირდება ბანაკში?

ბანაკი არის უფასო ყველა მონაწილისთვის! უზრუნველყოფილია სამჯერადი კვება, ბანაკამდე ტრანსპორტირება, საცხოვრებელი სივრცე, ექიმისა და ექთნის მომსახურება და საბანაკე პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები. მონაწილემ ბანაკში თან უნდა იქონიოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადი ჰიგიენის ნივთები;
- საწოლის თეთრეული;
- პირსახოცი (დიდი, პატარა);
- საცურაო კოსტიუმი ზღვით ან აუზით სარგებლობის შემთხვევაში;

სად შეიძლება ვნახო ბანაკის შესახებ დეტალური ინფორმაცია?

ბანაკებისა და სხვა ახალგაზრდული სერვისების შესახებ ინფორმაციისთვის იხ. FB: ახალგაზრდობის სააგენტო • Youth Agency ან/და ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი • Anaklia Youth Camp